

დემენციის ეროვნული პროგრამის შემუშავება საქართველოსთვის: საერთაშორისო გამოცდილებიდან მიღებული გაკვეთილები და სტრატეგიული რეკომენდაციები

შესავალი

დემენცია მოსახლეობის დაბერებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა. მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მიღწეულმა პროგრესმა მნიშვნელოვნად გაზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში. ამ პროცესის თანმდევი შედეგია ხანდაზმულთა რაოდენობის ზრდა და ასაკთან დაკავშირებული კოგნიტური დარღვევების, მათ შორის დემენციის, გავრცელების მატება.

დემენცია გავლენას ახდენს არა მხოლოდ თავად პაციენტზე, არამედ მის ოჯახზე, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სისტემებზე, შრომით რესურსებსა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. დაავადების პროგრესირების პარალელურად იზრდება მოვლის საჭიროება, ფინანსური დანახარჯები და ოჯახური ტვირთი, რაც დემენციას არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემად აქცევს.

საერთაშორისო გამოცდილება ნათლად აჩვენებს, რომ დემენციის ეფექტიანი მართვა მხოლოდ კლინიკური ინტერვენციებით შეუძლებელია. წარმატებული პოლიტიკა მოითხოვს კოორდინირებულ ეროვნულ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ჯანდაცვას, სოციალურ მხარდაჭერას, განათლებას, სამეცნიერო კვლევებს, საზოგადოებრივ ცნობიერებასა და სამართლებრივ დაცვას. ავსტრალიის, ავსტრიის, კანადის, ახალი ზელანდიის, ფინეთის, საბერძნეთის, ქუვეითისა და კორეის რესპუბლიკის გამოცდილება მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის საქართველოს დემენციის ეროვნული პროგრამის ფორმირებისათვის.

რატომ სჭირდება საქართველოს დემენციის ეროვნული პროგრამა?

დღეს საქართველოში დემენციის მართვის სისტემა ფრაგმენტული ხასიათისაა. დიაგნოსტიკა, მკურნალობა, ოჯახის მხარდაჭერა, სოციალური მომსახურება და გრძელვადიანი მოვლის ელემენტები სხვადასხვა ინსტიტუციაშია გადანაწილებული და მათ შორის კოორდინაცია არ არსებობს ან აშკარად არასაკმარისია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მუშაობენ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები და არსებობს ცალკეული წარმატებული ინიციატივები, არ არსებობს ერთიანი ეროვნული ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავდა პრიორიტეტებს, პასუხისმგებლობებს, მომსახურების სტანდარტებსა და შედეგების შეფასების მექანიზმებს.

კოორდინირებული ეროვნული პოლიტიკის არარსებობა რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოშობს. დემენცია ხშირად დიაგნოსტირდება დაავადების გვიან სტადიებზე, მოსახლეობის ინფორმირებულობა კვლავ შეზღუდულია, ოჯახის წევრები და მომვლელები არასაკმარის მხარდაჭერას იღებენ, ხოლო დაავადების გავრცელებისა და საჭიროებების შესახებ სანდო ეპიდემიოლოგიური მონაცემები პრაქტიკულად არ არსებობს.

ამასთანავე, საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურა თანდათან იცვლება. ხანდაზმულთა წილის ზრდა უახლოეს ათწლეულებში გარდაუვლად გამოიწვევს დემენციის შემთხვევების ზრდას, რაც დამატებით დატვირთვას შეუქმნის როგორც ჯანდაცვის, ისე სოციალური დაცვის სისტემებს.

დემენციის ეროვნული პროგრამამ უნდა შექმნას სტრატეგიულ ჩარჩო ამ გამოწვევების სამართავად. მან უნდა უზრუნველყოს მკაფიო პრიორიტეტების განსაზღვრა, სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციის საქმიანობის კოორდინაცია, რესურსების უფრო ეფექტიანი განაწილება და შედეგების შეფასების ობიექტურ სისტემა.

დემენცია, როგორც მრავალგანზომილებიანი გამოწვევა

საერთაშორისო გამოცდილების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გაკვეთილია ის, რომ დემენცია არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ ნევროლოგიურ ან ფსიქიატრიულ დაავადებად. თანამედროვე დემენციური პოლიტიკა მას აღიქვამს როგორც მრავალგანზომილებიან პრობლემას, რომელიც მოიცავს სამედიცინო, ფსიქოლოგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ და ეთიკურ კომპონენტებს.

სამედიცინო განზომილება მოიცავს პრევენციას, ადრეულ დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და თანმხლები დაავადებების მართვას. სოციალური განზომილება დაკავშირებულია დამოუკიდებლობის შენარჩუნებასთან, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობასთან და სოციალური იზოლაციის შემცირებასთან. ეკონომიკური ტვირთი მოიცავს როგორც პირდაპირ სამედიცინო დანახარჯებს, ისე არაპირდაპირ ხარჯებს, რომლებიც უკავშირდება მოვლას, სამუშაო უნარის დაკარგვასა და პროდუქტიულობის შემცირებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეთიკურ განზომილებას, რომელიც მოიცავს პიროვნების ღირსების დაცვას, ავტონომიის შენარჩუნებას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობასა და მოწყვლადი პირების უფლებების დაცვას.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ წარმატებული ეროვნული პროგრამები სწორედ ამ ყველა მიმართულებას განიხილავენ ერთიან სისტემაში და არ შემოიფარგლებიან მხოლოდ სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებით.

ვინ უნდა იყოს დემენციის ეროვნული პროგრამის ბენეფიციარი (მოსარგებლე)?

დემენციის ეროვნული პროგრამის ძირითადი ბენეფიციარები, ბუნებრივია, დემენციის მქონე ადამიანები არიან. თუმცა, საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეფექტიანი დემენციური პოლიტიკა ბევრად უფრო ფართო ხედვას საჭიროებს.

მნიშვნელოვან ბენეფიციართა ჯგუფს წარმოადგენენ ოჯახის წევრები და არაფორმალური მომვლელები. მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში, დემენციის მქონე პირთა ყოველდღიური მოვლის ძირითადი ტვირთი სწორედ ოჯახზე მოდის. შედეგად, მომვლელები ხშირად განიცდიან ემოციურ გადატვირთვას, სოციალურ იზოლაციასა და ფინანსურ სირთულეებს. მათი მხარდაჭერა აუმაღლებს არა მხოლოდ მათ მდგომარეობას, არამედ უშუალოდ დემენციის მქონე პირის ცხოვრების ხარისხსაც.

პროგრამის ბენეფიციარები არიან ასევე ექიმები, ექთნები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც იღებენ შესაძლებლობას იმუშაონ უფრო ორგანიზებულ სისტემაში, მკაფიო რეფერალური მექანიზმებითა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებით.

საბოლოოდ, პროგრამის განხორციელებით სარგებელს იღებს მთელი საზოგადოება, რადგან მცირდება ჯანდაცვის ხარჯები, გვიანდება ინსტიტუციური მოვლის საჭიროება და იზრდება სოციალური ჩართულობა.

მომსახურების ორგანიზება: ფრაგმენტაციიდან ინტეგრირებული ზრუნვისკენ

საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ყველაზე წარმატებული პროგრამები ეფუძნება არა ფრაგმენტულ, არამედ ინტეგრირებულ მიდგომას. დემენციის მართვა განიხილება როგორც უწყვეტი პროცესი, რომელიც იწყება პრევენციითა და ადრეული გამოვლენით და გრძელდება დიაგნოსტიკით, მკურნალობით, საზოგადოებრივ მხარდაჭერითა და გრძელვადიანი მოვლით.

საქართველოს პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს პირველადი ჯანდაცვის, ნევროლოგიის, ფსიქიატრიის, გერიატრიის, ფსიქოლოგიისა და სოციალური მომსახურების სფეროების თანამშრომლობას. ოჯახის ექიმები უნდა იქცნენ სისტემის ერთ-ერთ ცენტრალურ რგოლად, რადგან სწორედ მათ აქვთ

შესაძლებლობა პირველად გამოავლინონ რისკის მქონე პირები და უზრუნველყონ მათი დროული გადამისამართება შესაბამის სპეციალისტებთან.

ამავდროულად, აუცილებელია სპეციალიზებული დიაგნოსტიკური და საკონსულტაციო სერვისების ეტაპობრივი განვითარება. საერთაშორისო გამოცდილება მიუთითებს, რომ მეხსიერების კლინიკებსა და დემენციის საკონსულტაციო ცენტრებში შესაძლებელია დიაგნოსტიკის ხარისხის, ინდივიდუალური მოვლის დაგეგმვისა და ოჯახების მხარდაჭერის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

მიუხედავად იმისა, რომ საწყის ეტაპზე ქვეყნის მასშტაბით ასეთი ქსელის შექმნა შესაძლოა რთული იყოს, რეალისტურ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს საპილოტე ცენტრების ჩამოყალიბება თბილისში და სხვა მსხვილ რეგიონულ ცენტრებში, რაც შემდგომში ეროვნული სისტემის განვითარების საფუძვლად იქცევა.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და სტიგმის შემცირება

თითქმის ყველა განხილული ეროვნული სტრატეგია დემენციის ეფექტიანი მართვის ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად მიიჩნევს საზოგადოების არასაკმარის ინფორმირებულობასა და დემენციასთან დაკავშირებულ სტიგმას.

ხშირ შემთხვევაში ადამიანები დაგვიანებით მიმართავენ ექიმს, რადგან მეხსიერების დაქვეითებასა და სხვა კოგნიტურ დარღვევებს დაბერების ბუნებრივ პროცესად მიიჩნევენ. არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ოჯახების შიში საზოგადოებრივი გაუცხოების, დისკრიმინაციისა და სოციალური იზოლაციის მიმართ.

საქართველოსთვის საზოგადოებრივი ცნობიერების (საკითხის მიმართ დაბალი ცოდნის) ამაღლებად დემენციის ეროვნული პროგრამის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მიმართულებად უნდა იქცეს. საინფორმაციო კამპანიებმა მკაფიოდ უნდა წარმოაჩინოს, რომ დემენცია წარმოადგენს დაავადებას და არა დაბერების გარდაუვალ შედეგს; რომ ადრეულ დიაგნოსტიკას მნიშვნელოვანი პრაქტიკული სარგებელი მოაქვს როგორც პაციენტისთვის, ისე მისი ოჯახისათვის; და რომ დემენციის მქონე ადამიანებს შეუძლიათ მრავალი წლის განმავლობაში შეინარჩუნონ აქტიური მონაწილეობა ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საგანმანათლებლო ღონისძიებები არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მოსახლეობის ფართო ფენებით. აუცილებელია მათი განხორციელება სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სამუშაო კოლექტივებში, პროფესიულ გაერთიანებებსა და ადგილობრივ თემებში. დემენციის შესახებ ინფორმირებული საზოგადოების

ჩამოყალიბება წარმოადგენს ნებისმიერი ეროვნული სტრატეგიის წარმატებული განხორციელების აუცილებელ წინაპირობას.

ოჯახებისა და მომვლელების მხარდაჭერა

საერთაშორისო გამოცდილება ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ დემენციის მართვის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ოჯახის წევრებისა და არაფორმალური მომვლელების მხარდაჭერაზე. პრაქტიკაში, პროფესიული სერვისების ჩართვამდე და ხშირად მათ პარალელურადაც, დემენციის მქონე ადამიანებზე ზრუნვის ძირითადი ტვირთი სწორედ ოჯახს ეკისრება.

ამიტომ საქართველოს დემენციის ეროვნულ პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს მომვლელთა მხარდაჭერის სისტემის შექმნას. იგი შეიძლება მოიცავდეს სტრუქტურირებულ საგანმანათლებლო პროგრამებს, საკონსულტაციო მომსახურებას, პრაქტიკულ სახელმძღვანელოებს, ფსიქოლოგიურ დახმარებასა და ურთიერთდახმარების ჯგუფებს.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ შედარებით მოკრძალებულ ინტერვენციებსაც კი შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს მომვლელთა ემოციური და ფიზიკური დატვირთვა, გააუმჯობესოს მათი ცხოვრების ხარისხი და დადებითი გავლენა მოახდინოს თავად პაციენტების მდგომარეობაზეც.

გრძელვადიან პერსპექტივაში მიზანშეწონილია ისეთი მომსახურებების განვითარებაც, როგორიცაა დღის ცენტრები, დროებითი მზრუნველობის (respite care) პროგრამები და თემზე დაფუძნებული მხარდამჭერი ქსელები, რომლებიც ოჯახებს მისცემს შესაძლებლობას პერიოდულად განიტვირთონ უწყვეტი ზრუნვისაგან.

კვლევები, მონაცემები და მონიტორინგი

ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვა შეუძლებელია სანდო ინფორმაციის გარეშე. სწორედ ამიტომ, დემენციის სფეროში წარმატებულ ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მონაცემთა სისტემურ შეგროვებას, ეროვნულ რეესტრებს, ეპიდემიოლოგიურ მეთვალყურეობასა და სამეცნიერო კვლევებს.

საქართველოში ამჟამად არ არსებობს სრულყოფილი მონაცემები დემენციის გავრცელების, სერვისების გამოყენების, ეკონომიკური ტვირთისა და მომვლელთა საჭიროებების შესახებ.

შესაბამისად, დემენციის ეროვნული პროგრამის ერთ-ერთ საწყის ამოცანად უნდა განისაზღვროს ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის სისტემის ჩამოყალიბება.

ამ პროცესში განსაკუთრებული როლი შეიძლება შეასრულონ უნივერსიტეტებმა, პროფესიულმა ასოციაციებმა და კვლევითმა ინსტიტუტებმა. მათ შეუძლიათ

მონაწილეობა მიიღონ მოსახლეობის საჭიროებების შეფასებაში, ეპიდემიოლოგიური კვლევების განხორციელებაში, დემენციის რეგისტრაციის მექანიზმების შექმნასა და პროგრამის შედეგების შეფასებაში.

საიმედო მონაცემების გარეშე შეუძლებელია როგორც გრძელვადიანი დაგეგმვა, ისე მიღწეული შედეგების ობიექტური შეფასება.

მმართველობა და დაფინანსება

საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ დემენციის ეროვნული პროგრამები ყველაზე ეფექტიანად მაშინ ფუნქციონირებს, როდესაც პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განსაზღვრული და სხვადასხვა სექტორის საქმიანობა ერთმანეთთან კოორდინირებულია.

პროგრამის წარმატებით განხორციელება მოითხოვს თანამშრომლობას სახელმწიფო უწყებებს, სამედიცინო დაწესებულებებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, აკადემიურ ინსტიტუტებს, პროფესიულ გაერთიანებებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის.

საქართველოს პირობებში საერთო კოორდინაციის ფუნქცია, სავარაუდოდ, უნდა ეკისრებოდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, თუმცა პროგრამის რეალური წარმატება მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული უნივერსიტეტებთან, პროფესიულ საზოგადოებებთან, პაციენტთა ორგანიზაციებთან და სოციალური მომსახურების მიმწოდებლებთან მჭიდრო თანამშრომლობაზე. სასურველია ჩამოყალიბდეს მეთოდოლოგიური ცენტრი, რომელიც დემენციის სფეროში სამეცნიერო, მეთოდოლოგიური და საგანმანათლებლო საქმიანობის კოორდინაციას გაუწევს.

დაფინანსების მდგრადობა ყველა ქვეყნისათვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. თუმცა საერთაშორისო კვლევები ადასტურებს, რომ ადრეული დიაგნოსტიკა, მომვლელთა მხარდაჭერა და თემზე დაფუძნებული მომსახურებები, როგორც წესი, გაცილებით უფრო ეკონომიურად ეფექტიანია, ვიდრე ინსტიტუციურ მოვლაზე ორიენტირებული მოდელები.

ამ მიზეზით, პრევენციაში, ადრეულ გამოვლენასა და საზოგადოებრივ მხარდაჭერაში განხორციელებული ინვესტიციები უნდა განიხილებოდეს არა როგორც დამატებითი ხარჯი, არამედ როგორც გრძელვადიანი ინვესტიცია მომავალი ფინანსური ტვირთის შემცირებისათვის.

საერთაშორისო მოდელებიდან რომელი შეიძლება იყოს ყველაზე შესაფერისი საქართველოსთვის?

არცერთი არსებული საერთაშორისო მოდელი ვერ გადაიტანება საქართველოში უცვლელი სახით. დემოგრაფიული, ეკონომიკური, კულტურული და ინსტიტუციური განსხვავებები მოითხოვს საერთაშორისო გამოცდილების ადაპტაციას და არა მის პირდაპირ კოპირებას.

მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებაში იკვეთება რამდენიმე ელემენტი, რომლებიც განსაკუთრებით რელევანტურია საქართველოსთვის. ასე, მაგალითად:

- საბერძნეთის მოდელი გვთავაზობს პრაქტიკულ და რეალისტურ ჩარჩოს იმ ქვეყნისათვის, რომელიც დემენციის პირველ ყოვლისმომცველ ეროვნულ პროგრამას ქმნის.
- კორეის გამოცდილება ხაზს უსვამს ეტაპობრივი განხორციელების, შედეგების შეფასებისა და ცენტრალიზებული კოორდინაციის მნიშვნელობას.
- ავსტრია გვთავაზობს ადამიანის ღირსებასა და უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას.
- ახალი ზელანდია აჩვენებს თემებისა და ადგილობრივი კულტურული თავისებურებების გათვალისწინების აუცილებლობას.
- ფინეთი კი დემენციის პოლიტიკის ინტეგრირებას ჯანსაღი დაბერების ფართო კონცეფციასთან აკავშირებს.
- კანადის გამოცდილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეცნიერო კვლევების, მონაცემთა სისტემებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების განვითარების თვალსაზრისით.

შესაბამისად, საქართველოსათვის ყველაზე ოპტიმალური შეიძლება იყოს ე.წ. ჰიბრიდული მოდელი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკებს ეროვნულ რეალობას მორგებს.

დასკვნები და სტრატეგიული რეკომენდაციები

დემენციის ეროვნული პროგრამის შექმნა უნდა განიხილებოდეს, როგორც ინვესტიცია საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და სოციალურ კეთილდღეობაში. დემენცია არ წარმოადგენს მხოლოდ სამედიცინო პრობლემას, რომელიც ხანდაზმულთა შედარებით მცირე ჯგუფს ეხება. იგი მზარდი საზოგადოებრივი გამოწვევაა, რომელიც გავლენას ახდენს ოჯახზე, ჯანდაცვის სისტემაზე, სოციალურ დაცვასა და ქვეყნის განვითარებაზე.

საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ წარმატებული პროგრამები რამდენიმე საერთო პრინციპს ეფუძნება: ისინი არიან ადამიანზე ორიენტირებული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული, მრავალდისციპლინური და მდგრადი. ასეთი

პროგრამები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ პრევენციას, ადრეულ დიაგნოსტიკას, ოჯახის წევრების მხარდაჭერას, პროფესიული კადრების მომზადებას, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასა და შედეგების უწყვეტ შეფასებას.

საქართველოსათვის საწყის ეტაპზე პრიორიტეტი უნდა გახდეს მოსახლეობის ინფორმირება, სპეციალისტთა გადამზადება, არსებული საჭიროებების შეფასება, რეფერალური მექანიზმების ჩამოყალიბება და დემენციის ეროვნული სტრატეგიული ჩარჩოს შექმნა. შემდგომ ეტაპებზე, ან აღნიშნულის პარალელურად, შესაძლებელია, სპეციალიზებული სერვისების, მომვლელთა მხარდაჭერის სისტემების, მონაცემთა ინფრასტრუქტურისა და კვლევითი ქსელების განვითარება.

საბოლოო მიზანი არ უნდა იყოს მხოლოდ კიდევ ერთი სამედიცინო პროგრამის შექმნა. მთავარი ამოცანაა ისეთი ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც დემენციის მქონე ადამიანებსა და მათ ოჯახებს მისცემს ღირსების, სოციალური ჩართულობისა და ცხოვრების ხარისხის მაქსიმალურად შენარჩუნების შესაძლებლობას დაავადების მთელი მიმდინარეობის განმავლობაში.

საქართველოს დემენციის ეროვნული პროგრამა შესაძლებელია განვითარდეს სამ ფაზად.

ფაზა I – ეროვნული პროგრამის ჩამოყალიბება და საფუძვლის შექმნა (პირველი 2-3 წელი)

ამ ეტაპზე არ იქნება საჭირო დემენციის ცენტრების მასობრივი შექმნა ან ძვირადღირებული ინფრასტრუქტურული ინვესტიციები.

ძირითადი მიმართულებები იქნება:

- ეროვნული საკოორდინაციო საბჭოს შექმნა;
- დემენციის ეროვნული სტრატეგიისა და კლინიკური რეკომენდაციების მომზადება;
- ოჯახის ექიმების, ნევროლოგების, ფსიქიატრებისა და სოციალური მუშაკების გადამზადება;
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კამპანია; პრევენციული სტრატეგიების დანერგვა
- ეპიდემიოლოგიური მონაცემების შეგროვების დაწყება;
- საპილოტე მეხსიერების კლინიკების (Memory Clinic) შექმნა თბილისში და 1-2 რეგიონში;
- მომვლელთა საგანმანათლებლო პროგრამების დაწყება.

სავარაუდო ღირებულება - 2,0 მილიონი ლარი წელიწადში.

ფაზა II – სერვისების გაფართოება (3-5 წელი)

- რეგიონული დემენციის ცენტრების განვითარება;
- ტელემედიცინის გამოყენება;
- დემენციის ეროვნული რეესტრის/მეთოდოლოგიური ცენტრის შექმნა;
- ადრეული დიაგნოსტიკის ხელშეწყობა, დემენციის ბიომარკერის ტესტის დანერგვა;
- დღის ცენტრების საპილოტე ქსელის ჩამოყალიბება;
- მომვლელთა დროებითი განტვირთვის (respite care) პროგრამების დაწყება.

სავარაუდო ღირებულება - 5,0 მილიონი ლარი წელიწადში.

ფაზა III – სრულფასოვანი ეროვნული სისტემა (5-10 წელი)

ამ ეტაპზე შეიძლება განვითარდეს:

- ეროვნული დემენციის ცენტრი;
- რეგიონული ქსელი;
- ეროვნული რეესტრი;
- კვლევითი პროგრამები;
- გრძელვადიანი მოვლის მოდელები;
- სპეციალიზებული სოციალური სერვისები.

სავარაუდო ღირებულება - 15 მილიონი ლარი წელიწადში.